

Sanolac Rot

Art. No. 1023

რძის შემცველი ხბობისთვის

შემადგენლობა:

შრატის ფხვნილი, მცენარეული ზეთი / ცხიმი (პალმის ზეთი / ქოქოსის ზეთი), სოიოს ცილის კონცენტრატი, ლუდის საფუარი, სოიოს მცენარეული ზეთი.

ხარისხობრივი მახასიათებლები:

20,0% ნედლი ცილა, 19,5% ნედლი ცხიმი, 8,0 % ნედლი ნაცარი, 0,8% ნედლი უჯრედისი, 1,0% კალციუმი, 0,7% ფოსფორი, 0,5 % სოდა, 0,1% მაგნიუმი, 1,9% ლიზინი.

დანამატები თითო კგ-ზე:

კვებითი დანამატები: 25.000 IU ვიტამინი A (3a672a), 5.000 IU ვიტამინი D3 (3a671), 300 მგ ვიტამინი E / all rac alpha-ტოკოფეროლაცეტატი (3a700), 2 მგ ვიტამინი K3(3a710), 4 მგ ვიტამინი B1(3a821), 4 მგ ვიტამინი B2/რიბოფლავინი, 2 მგ ვიტამინი B6/პიროდოქსინჰიდროქლორიდი (3a831), 20 მგ ვიტამინი B12/ციანოკობალამინი, 200 მგ ვიტამინი C (3a300), 20 მგ ნიაცინ ამიდი (3a315), 10 მგ კალციუმ-D-პანტოთენატი (3a841), 1 მგ ფოლიუმის აციდი (3a316), 200 µg ბიოტინი (3a880), 250 მგ ქოლინ ქლორიდი (3a890), 100 მგ რკინა (E1) აქედან 50 მგ როგორც გლიცინ-რკინის-ჰელატი და 50 მგ როგორც რკინის-(II)-სულფატ მონოჰიდრატი, 70 მგ თუთია (E6) აქედან 35 მგ როგორც გლიცინ-თუთია-ჰელატი და 35 მგ როგორც თუთიის სულფატმონოჰიდრატი, 30 მგ მაგნიუმი (E5) აქედან 15 მგ როგორც გლიცინ-მაგნიუმ-ჰელატი და 15 მგ როგორც მაგნიუმი-(II)-სულფატ მონოჰიდრატი, 7 მგ სპილენძი (E4) აქედან 3,5 მგ როგორც გლიცინ-სპილენძი-ჰელატი და 3,5 მგ როგორც სპილენძი-(II)-სულფატი პენტაჰიდრატი, 1 მგ იოდინი (3b202) როგორც კალციუმის იოდიტი, 0,3 მგ სელენი (E8) როგორც სოდის სელენიტი.

ზოტექნიკური დანამატები: 8×10^8 CFU ლაქტოზის აციდი bacteria Enterococcus faecium M74 (NCIMB 11181, 4b 1708)

ტექნოლოგიური დანამატები: კალციუმის ფორმიატი (E238)

Sanolac Rot-ის მოხმარების წესი:

ხბოს დაბადებიდან ხსენით გამოკვების შემდგომ, შვიდი დღის შემდეგ გადაგვყავს Sanolac Rot-ზე.

1 კგ რძის ფხვნილი ამზადებს 8 ლიტრ რძეს:

გახსნის ტემპერატურა: 40-42 °C

სასმელი ტემპერატურა: 36-38 °C

Sanolac Rot ეძლევა ხბოს დღის განმავლობაში 6 ლიტრი. დილა-სადამოს 3-3 ლიტრი.

მაღალპროდუქტიული ხბორების შემთხვევაში, შესაძლოა მივცეთ დღის განმავლობაში 8 ლიტრი.

თუ გსურთ ხბო გაზარდოთ რძის შემცველით, მაშინ იგი დაბადებისთანავე უნდა მოაცილოთ დედას. განაცალკევოთ და 3 საათის განმავლობაში მიეცით მოწველილი ხსენი. ხსენის შემადგენლობაში არსებული იმუნოგლობულინი აუცილებელია ახალდაბადებული ხბოს იმუნიტეტისთვის.

შემდეგ კი ნელნელა ვაჩვენებთ რძის შემცველს:

დაბადებიდან მე-5 დღეს 2,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 2,5 ლ Sanolac Rot -ით დამზადებულ რძეს

დაბადებიდან მე-6 დღეს 1,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 3,5 ლ Sanolac Rot -ით დამზადებულ რძეს

დაბადებიდან მე-7 დღეს 0,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 4 ლ Sanolac Rot -ით დამზადებულ რძეს

სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ყურადღებით დავიცვათ მოხმარების წესები:

Sanolac Rot-ის ფხვნილს ვათავსებთ საწოვარიან ვედროში და ვასხამთ 40-42°C ტემპერატურის წყალს, ვურევთ (მორევა უკეთესია შემრევით, რათა სრულად გაიხსნას რძის შემცველი წყალში), შემდგომ ვაგრილებთ სხეულის ტემპერატურამდე 36-38°C - მდე. საწოვარიან ვედროს ვამაგრებთ ბუნებრივ პოზიციაში, როგორც დედისგან წოვს ხბო. ანუ, ზემოდან ქვემოთ. თუ ამ წესს არ დავიცავთ და ვედროს პირდაპირ ძირს მოვათავსებთ, მივიღებთ არასასურველ შედეგს. ქვემოდან ზემოთ კვების შემთხვევაში რძე ხვდება ხბოს კუჭის იმ ნაწილში, საიდანაც შეითვისებს წყალს. ამის შედეგად ხბოს ორგანიზმი რძე ვერ მუშავდება, წარმოიქმნება არასასურველი ბაქტერიები და გარდაუვალია კუჭის აშლილობა. გართულებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საწოვარიანი ვედრო დამაგრდეს ბუნებრივ პოზიციაში. საწოვარას არ უნდა ჰქონდეს მსხვილი ხვრელი. დიდი რაოდენობით რძის კუჭში მოხვედრის შემთხვევაში, ვერ ესწრება საკვების შეთვისება და 70% მოუწელებელი რჩება. ზემოაღნიშნული წესები მარტივია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი.

Sanolac Rot-თან ერთად ხბო უნდა იკვებებოდეს მარცვლეულით. ამ პერიოდში ხბოს საშუალოდ სჭირდება 120 კგ მარცვლეული, 40 კგ პრესტარტერი - Meggi 35 და მცირე რაოდენობით საქონლის საკვები (ბალახი, თივა, სილოსი და ა.შ.).

მზა საკვები მზადდება 70% მარცვლეულისა და 30% Meggi 35-ით. როდესაც ხბო აღნიშნულ მზა საკვებს შეჭამს 1,5 კგ ოდენობით, მაშინ უნდა შეწყდეს Sanolac Rot-ით კვება. ეს მიგვანიშნებს, რომ ხბო უკვე გაიზარდა და მზად არის ჩვეულებრივ საკვებზე გადასაყვანად.

ზემოხსენებული მოხმარების წესების დაცვის შემთხვევაში გარანტირებულია საქონლის ჯანმრთელობა, სწრაფი მატება და იოლი გადასვლა ჩვეულებრივ საკვებზე.